

შპს ენერჯი დეველოპმენტ
ჯორჯია

ინდივიდუალური
შუალედური არა-
აუდირებული
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

სარჩევი

ინდივიდუალური შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
ინდივიდუალური შუალედური მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური შუალედური ანგარიშგება	6
კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური შუალედური ანგარიშგება.....	7
ინდივიდუალური შუალედური ანგარიშგების ახლა-განმარტებითი შენიშვნები.....	8

ინდივიდუალური შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	30/06/2024	30/06/2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	59,306,736	60,831,651	60,065,049	61,493,419
აქტივის გამოყენების უფლება	588,190	601,485	594,846	608,123
სულ გრძელვადიანი აქტივები	59,894,926	61,433,136	60,659,895	62,101,542
მოკლევადიანი აქტივები				
საგადასახადო აქტივები, ნეტო	299,524	931,034	-	613,526
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	705,211	1,364,860	1,282,267	715,562
გადახდილი ავანსები	1,022,464	249,061	550,707	34,304
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	456,386	143,799	438,069	7,039
გაცემული სესხები	5,172	-	-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	422,202	480,604	536,814	91,287
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,910,959	3,169,358	2,807,857	1,461,718
სულ აქტივები	62,805,885	64,602,493	63,467,752	63,563,260
საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი	89,691	89,691	89,691	89,691
დაგროვილი ზარალი	3,708,577	7,621,817	5,821,117	5,489,623
სულ საკუთარი კაპიტალი	3,798,268	7,711,508	5,910,808	5,579,314
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	565,272	591,833	571,537	572,070
პროცენტიანი სესხები	56,963,768	50,027,051	54,674,143	50,817,167
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	57,529,040	50,618,885	55,245,680	51,389,237
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	223,630	823,837	123,626	538,157
საიჯარო ვალდებულებები	77,294	77,294	77,294	77,294
პროცენტიანი სესხები	1,177,653	5,370,970	2,089,351	5,979,258
საგადასახადო ვალდებულება, ნეტო	-	-	20,993	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,478,577	6,272,100	2,311,264	6,594,709
სულ ვალდებულებები	59,007,617	56,890,985	57,556,944	57,983,946
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	62,805,885	64,602,493	63,467,752	63,563,260

გიორგი შუკაკიძე

დირექტორი

ბექა აბუთიძე

ფინანსური მენეჯერი

ინდივიდუალური შუალედური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	30/06/2024	30/06/2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	59,306,736	60,831,651	60,065,049	61,493,419
აქტივის გამოყენების უფლება	588,190	601,485	594,846	608,123
გადახდილი ავანსები	-	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	59,894,926	61,433,136	60,659,895	62,101,542
მოკლევადიანი აქტივები				
საგადასახადო აქტივები, ნეტო	299,524	931,034	-	613,526
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	705,211	1,364,860	1,282,267	715,562
გადახდილი ავანსები	1,022,464	249,061	550,707	34,304
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	456,386	143,799	438,069	7,039
გაცემული სესხები	5,172	-	-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	422,202	480,604	536,814	91,287
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,910,959	3,169,358	2,807,857	1,461,718
სულ აქტივები	62,805,885	64,602,493	63,467,752	63,563,260
საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი	89,691	89,691	89,691	89,691
დაგროვილი ზარალი	3,708,577	7,621,817	5,821,117	5,489,623
სულ საკუთარი კაპიტალი	3,798,268	7,711,508	5,910,808	5,579,314
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	565,272	591,833	571,537	572,070
პროცენტული სესხები	56,963,768	50,027,051	54,674,143	50,817,167
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	57,529,040	50,618,885	55,245,680	51,389,237
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	223,630	823,837	123,626	538,157
საიჯარო ვალდებულებები	77,294	77,294	77,294	77,294
პროცენტული სესხები	1,177,653	5,370,970	2,089,351	5,979,258
საგადასახადო ვალდებულება, ნეტო	-	-	20,993	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,478,577	6,272,100	2,311,264	6,594,709
სულ ვალდებულებები	59,007,617	56,890,985	57,556,944	57,983,946
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	62,805,885	64,602,493	63,467,752	63,563,260

გიორგი შუკაკიძე
დირექტორი

ბექა აბუთიძე
ფინანსური მენეჯერი

გ. აბუთიძე



ინდივიდუალური შუალედური მოგება-ზარალის ანგარიშგება

	30/06/2024	30/06/2023	2023	2022
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	6,360,334	6,340,548	11,694,309	8,516,439
თვითღირებულება	(1,520,542)	(1,562,692)	(2,745,947)	(2,010,039)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	4,839,792	4,777,856	8,948,362	6,506,400
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,212,888)	(986,268)	(2,743,419)	(1,286,774)
საპროცენტო ხარჯები	(2,367,648)	(2,664,936)	(5,209,332)	(4,040,725)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	(2,316,470)	1,172,625	290,521	7,441,819
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(154,950)	(86,414)	(277,409)	(640,251)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15,652	41,916	321,144	1,830,432
მოგება/(ზარალი) გადასახდამდე	(1,196,512)	2,254,778	1,329,867	9,810,901
მოგების გადასახადის ხარჯი	(143,503)	(19,204)	(149,756)	(97,268)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	(1,340,015)	2,235,574	1,180,111	9,713,633
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
სულ წლის სრული მოგება/(ზარალი)	(1,340,015)	2,235,574	1,180,111	9,713,633

ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური შუალედური ანგარიშგება

	30/06/2024	30/06/2023	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
წლის მოგება/(ზარალი)	(1,196,512)	2,254,778	1,329,867	9,810,901
კორექტირებები:				
ცვეთა	872,687	885,061	1,700,033	1,482,854
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	2,316,470	(1,172,625)	(290,521)	(7,441,819)
საპროცენტო ხარჯი	2,367,648	2,626,556	5,209,332	4,656,897
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	8,862	55,999	401	132,822
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება:				
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა	576,337	(656,268)	(582,373)	78,161
გადახდილი ავანსების ზრდა/(შემცირება)	(471,757)	(214,757)	(516,403)	616,600
მარაგების შემცირება	(18,317)	(140,813)	(431,030)	(5,218)
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანების ზრდა/(შემცირება)	100,713	305,456	(32,134)	29,777
საგადასახადო აქტივების ზრდა/(შემცირება)	(299,524)	(317,508)	634,519	(606,406)
სულ ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში	4,256,608	3,625,880	7,021,691	8,754,569
გადახდილი პროცენტი	(2,062,933)	(2,738,310)	(5,116,613)	(3,049,363)
გადახდილი მოგების გადასახადი	(143,503)	(19,204)	(149,756)	(97,268)
საოპერაციო საქმიანობაში გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	2,050,172	868,366	1,755,322	5,607,938
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებების შეძენა	(95,069)	(5,000)	(12,845)	(334,103)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	17,305	56,001	-
სესხის გაცემა	(5,000)	-	-	-
კაპიტალური დანახარჯები ძირითად საშუალებებზე	(21,513)	(267,654)	(301,943)	(9,739,873)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(121,581)	(255,349)	(258,787)	(10,073,976)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
მიღებული პროცენტიანი სესხები	4,094,707	17,408,029	22,813,856	23,537,372
გადახდილი დივიდენდი	(772,526)	(103,382)	(848,617)	(523,623)
პროცენტიანი სესხების დაფარვა	(5,329,211)	(17,501,211)	(22,952,847)	(18,921,991)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(44,615)	(18,617)	(77,294)	(88,581)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(2,051,644)	(215,180)	(1,064,902)	4,003,177
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა შემცირება				
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	(123,053)	397,836	431,633	(462,861)
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	536,814	91,287	91,287	633,624
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	422,202	480,604	536,814	91,287

კაპიტალის მოძრაობის ინდივიდუალური შუალედური
ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	89,691	5,489,623	5,579,314
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,180,111	1,180,111
გადახდილი დივიდენდი	-	(848,617)	(848,617)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	89,691	5,821,117	5,910,808
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(1,340,015)	(1,340,015)
გადახდილი დივიდენდი	-	(772,526)	(772,526)
ნაშთი 2024 წლის 30 ივნისს	89,691	3,708,576	3,798,267

ინდივიდუალური შუალედური ანგარიშგების ახნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2015 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით (404485188). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკისრაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 70, ბიზნეს ცენტრი "სითი თაუერი" 17 სართული.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, ჰიდროელექტროსადგურების პროექტების განვითარება, ელექტროენერგიის გამოუმუშავება და რეალიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. 2015 წლის 31 მარტს საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანი იყო ჰიდროელექტროსადგურების სამშენებლო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რის შემდეგაც 2016 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე კომპანიამ მოიპოვა ჰიდროელექტროსადგურების, „საშუალა ჰესი 1“ და „საშუალა ჰესი 2“-ის, აშენების უფლება და საქართველოს მთავრობის მიერ პროექტის მიზნებისთვის გადაცემული იქნა საკუთრებაში 49 წლიანი აღნაგობის უფლებით მიწის ნაკვეთები. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურები შევიდა ექსპლუატაციაში და დაიწყო ელექტროენერგიის წარმოება/რეალიზაცია.

2019 წლის 17 ივნისს საქართველოს მთავრობასთან გაფორმდა კიდევ ერთი მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც კომპანიამ მოიპოვა უფლება მესამე ჰიდროელექტროსადგურის, „საშუალა ჰესი“-ის მშენებლობა, ფლობა, ოპერირებაზე. საშუალა ჰესის მშენებლობა დასრულებულია და წარმატებით ფუნქციონირებს.

ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას ასევე ჰყავს შვილობილი კომპანია შპს „ენერჯი თრეიდინგ გრუპი“ (405558524), რომელიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივები მდებარეობს საქართველოში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

2. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ

კომპანიამ 2023 წლის 22 ივნისს გამოუშვა „ობლიგაციები“, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 10,000,000 აშშ დოლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი 8.5%-ს, ვადამოსული ხდება 22.06.2025. „ობლიგაციების“ საბოლოო მაქსიმალური ოდენობა იქნება 10,000,000 აშშ დოლარამდე. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 აშშ დოლარს.

2024 წლის 30 ივნისის ობლიგაციის განთავსებული მოცულობა იყო 10,000,000 აშშ დოლარი.

3. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ინდივიდუალური შუალედური ფინანსური ანგარიშგება არააუდირებულია და ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ მენეჯმენტის გათვლებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. მცირე რემონტისა და ტექნიკური ხარჯები ირიცხება წარმოებისას. ძირითადი ნაწილების ან კომპონენტის ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება ან შეცვლილი ნაწილი ამოღებულია.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულება გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნეტო საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით, მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით. კომპანია არ აღიარებს აქტივის

გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს, სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი შეფასება. ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულების პირველადი შეფასება ხდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება თავისი არსით არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას კომპანიისთვის. შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა: - დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი; - თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, კომპანია ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. შემდგომი შეფასება. სავალო ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავალო ინსტრუმენტები რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შემდგომი შეფასება ხდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური

მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ფაქტორები ჩამოთვლილია ქვემოთ: - დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები; - ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, პროცენტის ან ძირითადის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება; - კომპანია, დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა; - როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან - ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები. გაუფასურების მაჩვენებელი შესაძლოა იყოს სხვა ფაქტორებიც, რაც აღწერილი არ არის ამ სააღრიცხვო პოლიტიკაში მაგრამ გულისხმობს კომპანიისთვის უარყოფითი ეფექტის მქონე მნიშვნელოვან ცვლილებებს ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

კომპანიამ გამოიყენა გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, რომელიც იყენებს სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. ისეთი სახის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლისგანაც სრულად არ არის მოსალოდნელი ფულადი ნაკადები კომპანიის მიერ დარეზერვებულია 100%-ით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

წინასწარი გადახდები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან

მოსალოდნელია აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ფინანსური ვალდებულებები დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებები“. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ძირითადად სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება ან გაუქმება ან მოქმედების ვადა დასრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როდესაც ხარჯი იქნა გაწეული.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარე იყენებს მოიჯარის ზღვრულ სასესხო განაკვეთს. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის: 1) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 2) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; 3) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; 4) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; 5) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: 1) ზრდის საბალანსო ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვის მიზნით; 2) ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით; 3) ხელახლა აფასებს საბალანსო ღირებულებას ხელახალი შეფასების შედეგის, ან იჯარის მოდიფიკაციების, ან გადასინჯული (შესწორებული) არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით. როდესაც ხდება საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება, კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქტივის გამოყენების უფლება სრულადაა ჩამოწერილი, სხვაობა აისახება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

შემოსავლის აღიარება

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი

პროცესი:

1. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
2. შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესრულების ვალდებულება(ებ)ი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც კომპანია ასრულებს ვალდებულებებს კლიენტებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით. აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენებას და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღებას.

შემოსავალი ელექტროენერგიის გაყიდვიდან

კომპანია შემოსავალს იღებს ელექტროენერგიის წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. შემოსავლის აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტროქსელის ოპერატორის - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გაცემული ელექტროენერგიის მიღებაჩაბარების აქტით.

საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. (ა) თანამშრომელთა ხელფასები და სხვა შეღავათები – დარიცხული ხელფასი, პრემიები და სხვა სარგებელი(დაზღვევა) ერიცხება იმავე საანგარიშო პერიოდში, როდესაც სრულდება შესაბამისი მომსახურება. (ბ) იჯარა - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ლარი. უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ანგარიშგების თარიღისთვის გაცვლითი კურსის გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადს კომპანია ადგენს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ ექვემდებარება მოგების გადასახადს (გარდა სსკის 981-ე და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. საქართველო). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება განაწილებული დივიდენდის თანხის 15/85-ით. საგადასახადო სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობა საგადასახადო აქტივებს/ვალდებულებებსა და საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული სამემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი უნდა გადაიხადოს საგადასახადო ორგანოებს, როდესაც საქონელი და მომსახურება მიეწოდება მომხმარებელს. დღგ-ს ინვოისის მიღებისას შეეყვანის დღგ, როგორც წესი, ერიცხება გამომავალ დღგ-ს. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ დღგ-ს გადახდის წმინდა საფუძველზე. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც ხდება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღიარებულია მომავალი მთლიანი ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით

შპს ენერჯი დეველოპმენტ
ჯორჯია

ინდივიდუალური

შუალედური

მმართველობითი

ანგარიშგება

ინფორმაცია ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას შესახებ

შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2015 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით (404485188). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 70, ბიზნეს ცენტრი "სითი თაუერი" 17 სართული.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, ჰიდროელექტროსადგურების პროექტების განვითარება, ელექტროენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

კომპანია ფლობს საქართველოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებულ 3 ჰიდროელექტროსადგურს: საშულა ჰესი 1 , საშულა ჰესი 2 , საშულა ჰესი.

ჰიდროელექტროსადგურების დადგმული ჯამური სიმძლავრე შეადგენს 15,2 მგვტ-ს; საშულა წლიური გამომუშავებით 68 მილიონი კვტ.სთ.

კომპანიის სამომავლო გეგმები

კომპანიამ წარმატებით დაასრულა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. დღეის მდგომარეობით ოპერირებს , აწარმოებს ელექტროენერგიას და რეალიზაციას ახდენს როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე ახორციელებს ექსპორტს.

კომპანიის მხრიდან ხორციელდება (გუნდში არსებული კვალიფიციურ კადრებით) ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის შესწავლა, შესწავლის შედეგად გამოვლენილი იქნა, შესაძლო პოტენციური პროექტები და უახლოეს პერიოდში გეგმავს ახალი განახლებადი ენერგიის წყაროებზე მომუშავე (ჰიდრო, ქარი) პროექტებში ინვესტირებას.

კომპანიის მიერ წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმოხილვა

პროექტის განვითარების საწყის ეტაპზე, კომპანიის მიერ დაქირავებული იქნა სხვადასხვა საპროექტო, კვლევითი ორგანიზაციები, შესწავლილ იქნა პროექტის/ჰიდროელექტროსადგურების განთავსების ტერიტორიის სეისმური, გეოლოგიური, გეოტექნიკური მდგომარეობა, მოძიებული იქნა ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური მონაცემები, მომზადდა შესაბამისი რეპორტები. მომზადდა პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანგარიში, დეტალური დიზანი , რომლის მომზადებისთვისაც გამოყენებულ იქნა საუკეთესო საინჟინრო პრაქტიკის საფუძვლები. შესწავლილ იქნა საკვლევი ტერიტორიის ფლორა, ფაუნა და სოციალური საკითხები, განისაზღვრა პროექტის გავრცელების არეალში გარემოზე შესაძლო ზიანის შემარბილებელი ღონისძიებები, მიღებული შედეგებით ნათლად ჩანს პროექტი წარმოადგენს დღეს ერთ-ერთი საუკეთესო ენერგეტიკული ობიექტს საინჟინრო პრაქტიკის საუკეთესო გამოვლინებას, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი ფაქტორების სრულად გათვალისწინებით.

გარემოსდაცვითი საკითხები

შპს ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია საამშენებლო და საექსპლუატაცია პროცესის დროს მოქმედებს საქართველოში გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესაბამისად, გარემოსდაცვითი კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით, მუდმივად მიმდინარეობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ

გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი პროცედურების დაცვას, მოთხოვნილი პერიოდული კვლევების შედეგების შესახებ სამინისტროსთვის წარდგენას.

მთავარი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია არ არის აქტიურად ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არც წერს ოფციონებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები, რომლებსაც კომპანია ექვემდებარება, აღწერილია ქვემოთ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს მოიცავს პროცენტთან სესხებს და ფულადი სახსრების ნაშთს ბანკში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ შესაძლოა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვიოს იმ კურსის ცვლილებამ, რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის.

მთავარი ფინანსური ინდიკატორები

კომპანიას აქვს ათეულობით მილიონი ლარის აქტივები, რომლის დიდ ნაწილს წარმოადგენს ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ანარიცხით.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყაროა ფლობელობაში არსებული ჰიდროელექტროსადგურებიდან გამომუშავებული ელექტროენერგიის რეალიზაცია.


შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“


პასუხისმგებელი პირების განცხადება

საჯარო ემისიასთან დაკავშირებით „ემიტენტის“ არსებული ვალდებულებების ფარგლებში, შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ემიტენტის აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს.

მმართველობის ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს ემიტენტის საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.

პასუხისმგებელი პირების განცხადება და „შპს ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 2024 წლის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცდა დირექტორისა და სამეთვალყურეო თავმჯდომარის მიერ 2024 წლის 13 აგვისტოს.


სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
მინდია საბანაძე


დირექტორი
გიორგი შუკაკიძე

